პროფესიული მომზადების პროგრამა ბავშვის ტანსაცმლის კერვა/ Sewing children's clothes

პროგრამის მიზანი:

პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის კომპლექსური მოთხოვნების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე და ორიენტირებულია იმ აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ინტეგრირებულ განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე საბაზრო გარემოში წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის.
პროგრამის ძირითადი კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ მსმენელებს მიეცეთ
თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბავშვის ტანსაცმლის დიზაინის, კონსტრუირების და წარმოების სფეროში. პროგრამა მოიცავს თანამედროვე ტექნოლოგიების, მასალათმცოდნეობის, მოდელირების და კერვის უახლესი მეთოდების შესწავლას. პროგრამა ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა თვითრეალიზაციას, მეწარმეობის განვითარებასა და პროფესიულ ზრდას.

პროგრამის ხანგრძლივობა:

- 12 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- საბაზო განათლება

სწავლის შედეგები:

1. ბავშვის ტანსაცმლის დამზადებისათვის გამოყენებული მასალების ასორტიმენტის დახასიათება;
2. საკერავი მანქანის გამოყენების წესების აღწერა;
3. ხელის გვირისტებისა და მანქანური ნაკერების შესრულება;
4. ტანსაცმლის დეტალების საწყისი დამუშავება;
5. ბავშვის საბაზისო ტანსაცმელის ნახაზის გაანგარიშება, თარგის ამოღება და მასალაში
შესრულება;
6. ბავშვის მაისურის ნახაზის გაანგარიშება, თარგის ამოღება და მასალაში შესრულება
7. ბავშვის შარვლის ნახაზის გაანგარიშება, თარგის ამოღება და მასალაში შესრულება;
8. ბავშვის კაბის ნახაზის გაანგარიშება, თარგის ამოღება და მასალაში შესრულება;

შეფასების მეთოდი:

- პრაქტიკული დავალება დაკვირვებით;
- გამოკითხვა;